



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/538

02 / მაისი / 2019 წ.



KA000074160925819

ქალაქ ფოთში, ფალიაშვილის ქ. N12-ში შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ს საოფისე-ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2019 წლის 18 აპრილს, N172/2019 წერილით მომართა შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ს დირექტორმა და ითხოვა ქალაქ ფოთში, ფალიაშვილის ქ. N12-ში საოფისე-ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ს წერილი და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, N57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, N59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთში, ფალიაშვილის ქ. N12-ში შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ს საოფისე-ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ს წერილის შესაბამისად შეთანხმებულ იქნას ქალაქ ფოთში, ფალიაშვილის ქ. N12-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 04.01.20.027) საოფისე-ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (თანახმად დანართისა) და გაცემულ იქნას სანებართვო მოწმობა 2019 წლის 25 აპრილიდან 2019 წლის 25 დეკემბრამდე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. N 3).

3. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. N 12).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

გონა კურდღელია